23
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 148
ივლისის 14, კვირა, 1902 წ.
1877

ივერია

№ 148
ივლისის 14, კვირა, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ი ვ ე რ ი ა“
ღირს ექვს მანეთად. (6. მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ.წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—2)

ვაუწყებ **ტყის პატრონთა** და **ტყის მწარმოებელთ**, რომ მეგამოვიგონე საშუალება, რომლის შემწეობით

ადვილად შეიძლება ხე-ტყის ჩამოზიდვა

მაღალ და მიუდგომელ მთიდგან; ეს ჩემი გამოგონება გასინჯულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწველო განყოფილებისაგან, რომელმაც ამა 1902 წლის მარტში მომცა მოწმობა № 16928-ია, თანახმად 7-ე მუხლისა **უმაღლესად** 20 მაისს 1896 წ. დამტკიცებულის დებულებისა ამისთანა გამოგონებათა პრივილეგიების შესახებ.

ჩამოტანის დროს ხე-ტყე არა ფუჭდება. არ იკარგება, ღარები მთლიანად და შეურყევლად რჩება და დღეში ჩამოიზიდება არა ნაკლებ ორასი ხისა.

ამ გამოგონების გაცნობისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: ქ. ტფილისში—სოფრომ ზაქარიას ძეს მგალობლიშვილს (ელისაბედის ქუჩა № 5), ქ. ფოთში—საურთიერთო კრედიტში და ჩემთან.

გამომგონებელი, სოფ. ხორგას, ზუგდიდის მაზრის, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები, აზნაური გიორგი საბას ძე **გაბუნია.**

მოსკოვი
1893

ს.-პეტერბურგი
1870

ნ.-ნოვგოროდი
1897

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი
დონნერისა დ: ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მატერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები

საბნები მატულისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მ ზ ი თ ე ვ ი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებითი პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

ს ა წ ყ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს
დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი.
1882 წ

ნოვგოროდი 1896წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—5.—4)

კნეინა მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა და შვილები მისნი: თ. ზაქარია და ნიკოლოოზ გულბაათის ძენი ჭავჭავაძეები გულითადს მადლობას უცხადებენ იმათ, ვინც სამძიმარი გამოუცხადა განსვენებულ **თ. არჩილ გულბაათის ძის ჭავჭავაძის** გარდაცვალებისა გამო.
(1—382—1)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ვ ე ქ ი ლ ი

ა. მ. ახნაზაროვი

გ ა დ ა ვ ი დ ა

მიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—6)

გიორგი წერეთლის
დ ი დ ი ს უ რ ა თ ი

იყიდება ტფილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში—ლაღიძესთან. ფასი 20 კაპეიკი. (6—6.—1)

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1¹/₂ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7¹/₂—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 14 ივლისს.

მიაქციეთ ყურადღება ქვემოდ დაბეჭდილს, რაჭიდგან მოწვდილს წერილს.

ცრუ-მორწმუნოება ჰრყვნის ერს და აჩანაგებს მისს მონაგარს.

პარასკევს „მიწა არ იძვრის“, არ ითოხნება, არ იხვნება, არც არა საქმე კეთდება.

შაბათს კოხინჯობის უქმეა.

კვირა ღვთის დღეა.

უსაქმოდ დარჩენილი სოფლელები ერთად გროვდებიან, ყაყანებენ, ღრეობენ, აყალ-მაყალს სტეხენ, ირევიან, ხანჯლებს ატრიალებენ, სჩეხავენ და იჩეხებიან. მშველელი არ არის. ვინც მოწოდებულია მათ წინამძღოლად და ხელმძღვანელად, ის არა-თუ სცდილობს მოსპოს ერში ასეთი მავნებელი ჩვეულებანი, პირ-იქით, მეცადინეობს, ხალხი დიდხანს დარჩეს ამგვარს უმეცრებაში და მის უმეცრებით თვითონ ისარგებლოს, თვისი წადილები ადვილად შეისრულოს...

გულსაკლავი სურათია, მით უმეტეს გულ-საკლავი, რომ მარტო რაჭა არ არის ამგვარს ყოფაში, ბევრი ჩვენებური სოფლები სცურავენ უმეცრების და ცრუ-მორწმუნეობის მორევში, მრავალი დაბა-სოფელნი მოკლებულნი არიან თაოსანსა და ერის გულ-შემატკივარ კაცებს. თითქმის ყველგან „მოსე მწერლები“ აწრიპინებენ თავიანთ შხამიან კალამს. ზოგან წინამძღვარიც აღარ წინამძღვრობს, მამასახლისიც მამინაცვლად გადაქცეულა. ჯან-მრთელნი, ძალით და ღონით აღსავსე ვაჟკაცნი საქმეს გადაჩვეულან, ზოგი მოსვენებით ზის, ზოგი ყაჩაღად გავარდნილა და ძილს უფრთხობს მშრომელს. სძარცვავს ყველას, ვისაც მოიხელთებს: მღვდელს, ბერს, გლეხს, აზნაურს, დიდებულს და მცირებულს.

წინამძღოლად მოწოდებულთ-კი სჯერათ, რომ ერის უმეცრება ჩვენ გაგვამდიდრებსო, ქონებას შეგვმატებსო. დასაგმობი შეცდომაა, უსუსური წინდაუხედაობაა! გერმანიასა თუ სხვა წარმატებულს ქვეყნებში ერი უმეცარი არ არის, გარნა მათი წინამძღვრები ღარიბად არ ითქმიან. ასრეც არის. საცა ერი განათლებულია, იქ მათი წინამძღვრებიცა და მოთავე კაცებიც დოვლათიანნი არიან; პირ-იქით, საცა უმეცრება, უსწავლელობა და სიბრიყვე მეფობს, იქ თვით უმეცარ-უსწავლელთა წინამძღოლნიც ღარიბ-ღატაკნი არიან.

ფრიად სამართლიანია ბ-ნ პორფირე იაშვილის, რაჭიდგან მოწერილ ამბის ავტორის, დასკვნა. ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთო. დიაღ, ჩვენვე უნდა ვუშველოთ.

ჩვენში ზოგიერთნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სხვები შეეწეოდნენ, ისხდნენ უსაქმოდ და ეგონათ, ცა ქადა-ნაზუქს ჩამოგვიყრისო. ხელს არ ანძრევდნენ, ელოდებოდნენ სასწაულს, ზოგნი დღესაც ელოდებიან... რაღა თქმა უნდა, ამაოდ. უსაქმოს, უმაქნისს, თავის თავის ვერ მომვლელს აწინდელს დროში არავინ ყურადღებას არ აქცევს, არავინ კაცადაც არა სთვლის. პირ-იქით, ვინც ირჯება, თაოსნობას, ხერხს, გამჭრიახობას იჩენს, იმას ყველანი პატივს სცემენ, ყველანი ჰშველიან და უვლიან. უსაქმო მეტი ბარგია და ვინ არის სულელი, რომ აიკიდოს და მისთვის წელი მოიწყვიტოს. გამრჯე და თაოსანი-კი სულ სხვაა. იგი ყველგან და ყველაფერში გამოდგება, საკუთარს საქმეშიაც და საზოგადოშიაც. პირველი „ცოცხალი“ მკვდარია, მეორე—სიცოცხლით სავსე ნიჭიერი არსება. პირველს ზიზღით უყურებენ, მეორეს მეგობრულად ხელს აწვდიან და, თუ გაუჭირდა, კიდეც ეხმარებიან...

ხუ ვიქმნებით „ცოცხალი“ მკვდრები, თუ გვსურს გვყავდეს ბევრი მეგობრები, თუ გვსურს ხანგრძლივი ცხოვრება და ქონებრივ უზრუნველი სიცოცხლე.

ვთესოთ ერში სიყვარული ურთიერთისადმი, მივცეთ მას ცოდნა კანონიერებისა, მეურნეობისა და სიქველისა, თუ მართლაც ვართ „მარილნი ამა ქვეყნისანი“, თუ გვსურს მოვიხვეჭოთ სახელი კეთილის მთესველისა, მხნე მესვეურისა და ხელოვან მეხოპისა.

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ გუშინ, 13 ივლისს, ნასადილევის 5 საათზე, ბაქო-ბალაჯარის რკინის გზით მოელოდნენ ტფილისში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ. დავ. ზაქ. ძეს მელიქიშვილს.

✦ როგორც გვატყობინებს ექიმი ივ. ელიაშვილი, პროფ. პეტრიაშვილი, რომელიც შეუძლოდ გახდა ჟელეზნოვოდსკში და ამ ჟამად იმყოფება ს. ავლევს თ. კონს. ამირეჯიბთან, ახლა უკეთ თურმე არის.

✦ 7 ივლისს დილით დიდად სამწუხარო ამბავი მომხდარა ხევსურეთში: შატილელ მწყემსებს ჩუოხო გიორგის ძეს, ხახანა ბაბას-ძეს და გამახელ ლეგის ძეს ჭინჭარაულებს გიორგი-წმინდის წყაროსთან დაუჭერიათ გუროელების საქონელი იმედა გოგოჭურისა და სხვათა. გუროელები შეიარაღებულან თავით ფეხამდე და მისცვივნიან შატილელებს, რომლებიც დახვედრიან შეიარაღებულებივე. მომხდარა საშინელი ბრძოლა. ბრძოლაში შატილელი მოუკლავთ 2 კაცი, მძიმედ დაუჭრიათ 8 კაცი, ხოლო გუროელები მოუკლავთ 7 კაცი და სასიკვდილოდ დაუჭრიათ 5 კაცი. თიანეთის გამომძიებელს უთხოვნია ტფ. ოლქის სასამართლოსათვის, მე შეუძლოდ ვარ და გთხოვთ, გამოჰგზავნოთ განსაკუთრებულ საქმეთათვის დანიშნული გამომძიებელი ამ საქმის გამოსაძიებლადაო. მაგრამ, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ოლქის სასამართლოს უარი უთქვამს და უ-

ეროვნული

ვე გაუგზავნია დეპეშით ბრძანება თიანეთის მომრიგებელ-მოსამართლე ბალაკირშჩიკოვისთვის, წადი ხევსურეთში და გამოიძიე ეს საქმეო.

✦ ბ-ნი ნ. ჟორდანია, რომელიც გაზ. „კვალში“ თანამშრომლობდა ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და ამ დღეებში თავის სოფელშიაპირებს წასვლას, დაბა ლანჩხუთში.

✦ კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველის კანცელარია აცხადებს, რომ სასჯულო მეცნიერების სასწავლებელში (Училище Правовѣдѣнія) არის ერთი თავისუფალი სტიპენდია კავკასიისა და ამიერ-კავკასიის მკვიდრთათვის. ეს სტიპენდია შეუძლიან მიიღოს აზნაურშვილმა ან სამხედრო კაცის და მოხელის შვილმა, ოღონდ სამხედრო კაცი პოლკოვნიკის ჩინისა უნდა იყოს, ხოლო მოხელე—სტატსკი სოვეტნიკისა. თხოვნა უნდა წარუდგინოს მსურველმა მზრუნველის კანცელარიას 25 ივლისამდე ყველა საჭირო საბუთის ქაღალდითურთ.

✦ წელს, 31 მაისს, მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა და ეს დადგენილება დამტკიცებულ იქმნა უმაღლესად, რომ დაწესდეს გენერალ-მაიორის თ. გიორგი ჯამბაკურ-ორბელიანის ყოველ-გვარ ქონებისათვის სამზრუნველო მმართველობა, რომელიც უნდა იყოს ს.-პეტერბურგის სათავად-აზნაურო სამზრუნველოს გამგებლობაში. ამას იქით თ. ორბელიანს აღარა აქვს ნება განაგოს თავისი მამულების საქმე, გაჰყიდოს ან დააგიროს თავისი მამულები, ან ვალი აიღოს. ეს ამბავი ამ დღეებში ეცნობა სენატის მიერ ტფილისის ოლქის სასამართლოს და მისს ნოტარიატს.

✦ ელექტრონის რკინის გზის ტეხნიკური პროექტი ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასცა გამგეობის წევრს ტიგრან ენფიაჯიანცს შესამოწმებლად. შემდეგ გამგეობა პროექტს წარუდგენს წესისამებრ დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს.

✦ ტფილისის სამხედრო ქსენონის ზედამხედველი სთხოვს გამგეობას, რომ დააჩქაროს საქმე ნავთლუღისა და ავლაბრის შეერთებისა ცხენის რკინის გზით.

✦ ახალის საარჩევნო სიით ტფილისში სულ 3227 ამომრჩეველია. პირველ რაიონში უნდა აირჩიონ 27 ხმოსანი, მეორეში—24 და მესამეში—29.

✦ ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი მ. ა. სულიევი საზაფხულოდ წავიდა ტფილისიდან და მისის თანამდებობის ასრულება დროებით დაევალა ხელოსანთა საზოგადოების რწმუნებულს ბ-ნს ა. ი. ადამიძეს.

✦ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ერაზედ უნდა დაექციათ სამოც და ათის კოლოის სახლი და ეს ამოდენა ხალხი ცის ქვეშ უნდა დარჩენილიყო; 12 ამ თვეს უკვე შესდგომიან სახლების დანგრევას; საუკეთესო სახლი ბ-ნ ჯიშკარიანისა, რომელსაც თვეში 80 მ. შემოჰქონდა ქირა, უკვე დაუქცევიათ. ამბობენ, რომ ზოგიერთა ამ სახლების პატრონთ ეშველებათ რამეო.

✦ მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობას მიუმართნია მიწად-მოქმედების მინისტრისათვის, მიეცეს მას ნება შეადგინოს სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც უნდა მოვაჭრეებს აღეკრძალოთ უვარგის თესლეულობით ვაჭრობა. ამის გამო მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიუმართნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისთვის და სთხოვს, ჰალე მაცნობეთ, რა ბოროტმოქმედება არის შემჩნეული კავკასიაში თესლეულობის ვაჭრობის დროსაო.

✦ ტფილისის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: დიდუბეში მცხოვრებმა სუხარევის ცოლმა განუცხადა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ იმისი გასათხოვარი ქალი, 18 წლისა, კვირას, შვიდ ივლისს, სახლიდგან გასულა და დღემდის არ დაბრუნებულაო, და სთხოვა დახმარება იმის მოსაძებნად. ქალი დანიშნული ყოფილა, მაგრამ, როგორც სჩანს, საქმრო არა ჰყვარებია და სახლიდგან წასვლის დროს დაუტოვებია სახლში ნიშნის ბეჭედი და ბარათი, რომელშიაც სწერს, რომ სხვა აღარა დამრჩენია-რა, იმის გარდა, რომ გადავიკარგო სადმეო.

✦ მე-10-ე განყოფილების ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას, რადგანაც დიდუბის ქუჩაზედ, ივანე ბუხრაძის სახლი საშიშოა ცეცხლის მხრივ, ამიტომ დანიშნეთ ქალაქის ტეხნიკოსი მის დასათვალიერებლადაო.

✦ მე-5-თე ნაწილის ბოქაულმა მიართვა ქალაქის გამგეობას და სთხოვს, 16 ამ თვეს დანიშნოს ქალაქის ტეხნიკოსი, ერიცოვის სახლის გასასინჯავად, რომელიც შეიძლება გადაწვეს ბ-ნ კვალიაშვილის სახლისგანაო.

✦ ტფილისის სავასშოს ბეითალმა ქალაქის გამგეობას მიჰმართა და სთხოვს, რაც შეიძლება მალე შეაკეთონ უვარგის საქონლის საწვავი ღუმელები.

✦ მე-6 ნაწილის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას დანიშნოს ქალაქის ტეხნიკოსი ალავერდოვის სახლის დასათვალიერებლად, სუმბათოვის ქუჩაზედ, რომელიც გუშინ ჩამოიქცა.

✦ 11 ამ თვეს მადათოვის ქუჩაზედ ეტლმა გაიტანა ელისაბედ მარგიშვილი. დაშავებული ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 11 ამ თვეს სპარსეთის ქვეშევრდომი ზალილ-მეხტი-ოღლი, მტკვარში ბანაობის დროს, ხალათოვის ქარვასლის პირდაპირ, ჩავარდა ღრმა ადგილას და იხრჩობოდა. შემთხვევით იქვე მყოფმა მეთევზეებმა ცოცხალ-მკვდარი მეხტი-ოღლი წყლიდგან გამოათრიეს.

ჩვენებური ამბები

ჩვენ გვატყობინებენ, რომ კახეთში 16 მემამულეს აუწერეს მამული ახალის საადგილმამულო გადასახადის შეუტანლობის გამოო. ბევრი მათ შორის შეძლებული მემამულეა, მაგრამ იმათაც-კი გაუძნელდათ შეტანა გადასახადისაო. როგორც იყო ყველა ამ მემამულეს მოუხერხებია წარდგენა შესატანის ფულისა და მით აუცილებია თავიდგან მამულების გაყიდვა საჯარო ვაჭრობით.

—

კახეთიდგანვე გვწერენ, რომ მკა უკვე გათავდა აქეთ და კალოობაა გაცხარებულიო. მოსავალი პურისა და ქერისა წელს კარგია და კარგი გამოსავალიცა აქვსო. რთველსაც კარგს მოელიან, რადგან უმეტეს ნაწილად ყველგან კარგად ასხია ვენახებსაო.

—

მცხეთიდგან გვწერენ, რომ აქ აგერ ერთი თვეა საარქეოლოგო გამოკვლევას ადგია ბ-ნი ე. ს. თაყაიშვილი. როგორც ვიცით, არმაზის მონასტრის ახლოს, ორის ვერსის მანძილზედ სადგურიდგან, ამას წინად შემთხვევით ძველნი საფლავნი იპოვეს, როცა ნავთსაყვან მილისთვის მიწას სთხრიდნენ მუშები; საფლავებში აღმოჩნდა ბევრი სხვა-და-სხვა ძველებური ნივთი, ფრიად საინტერესო არხეოლოგიის მხრივ. ამის გამო, ვგონებთ, პეტერბურგის საარხეოლოგო საზოგადოების მინდობილობით ბ-ნი თაყაიშვილი განაგრძობს ამ ადგილებშივე საარხეოლოგო კვლევა-ძიებას.

—

ბორჯომი. აქ ამზადებენ ამ ჟამად ოთახს ჩვენის ავადმყოფის მგოსნის აკაკისათვის ბ-ნ კ. თავართქილაძის საკუთარს სახლში.

—

იქიდანვე ამ თვის გასულისათვის მოელიან აქ თ. კ. ი. მუხრან-ბატონს, რომელიც ამ ჟამად საზღვარ-გარედ არის სამკურნალოდ, სახელდობრ მარიენბადის წყალზედ, ავსტრია-უნგრეთში.

—

გაზ. ,,კასპის‘‘ სიტყვით, თელავის მაზრაში, სოფ. ხოდაშენს, თ. წერეთლის მამულში აღმოჩენილა დიდ-ძალი ნივთი. ნავთი აღმოჩენილა აგრეთვე თიანეთის მაზრაში, ჩოლოყაანთ მამულში.

—

ქუთაისი. გუშინ აქ ჩამოიყვანეს საჩხერედგან ჩვენი მგოსანი აკაკი. იგი დღეს ქ-ნ ეკატერინე ნიკოლაძის ბინაზე იმყოფება და მას ექიმობს ნ. ჰიჰინაძე. ცოტათი გაუმჯობესების შემდეგ აკაკი ბორჯომში აპირებს გამგზავრებას.

—

იქიდანვე. ამ თვის დამლევისათვის დღეს აქ საპედაგოგიო კურსებზე მყოფი სამრევლო სკოლების მასწავლებლები ექსკურსიაზე მიჰყავთ ტფილისსა, სურამსა და ბათუმში. ისინი დღეს აგერ ერთ თვეზე მეტია მეცადინეობენ განუწყვეტლივ დილის 7 საათიდგან ნაშუადღევის პირველამდე და 4-დან საღამოს $7^{1}/_{2}$ საათამდე. არქიელის გორაზე სასულიერო სასწავლებელში დღეში ორ-ორჯერ გაკვეთილებზე სიარულის გარდა, ისინი ვალდებულნი არიან კვირა-უქმე დღეებშიაც ორჯერ იარონ წირვა-ლოცვაზე. ამგვარ შრომისაგან ისინი დღეს ისე დაქანცულნი არიან ამ სიცხეში, რომ იძულებულნი გახდნენ სთხოვონ, ვისაც ჯერ არს, შეუმოკლონ ვადა კურსების გათავებისა. ვადა-კი თვე-ნახევარია.

—

იქიდანვე. ორიოდე ინტელიგენტისაგან, თვით კანდიდატის დაუკითხავად, ქალაქის საბჭოს მდივნად დასახელებულმა და უკვე ამორჩეულმა ვლ. კანდელაკმა უარი განაცხადა, მაგ თანამდებობას ვერ ვიკისრებო. მიზეზად უარისა ჯამაგირის სიმცირეს ასახელებენ. ქუთაისში ქალაქის მდივანს 1200 მან. აქვს, ბ-ნს კანდელაკს-კი ამგვარსავე ადგილზე ფოთში 1500 მ. ჰქონია. ეს უარი ბ-ნ კანდელაკს საბჭოსათვის ოფიციალურად ჯერაც არ უცნობებია. ამ თანამდებობაზედ ასახელებენ ახლა უნივერსიტეტშივე ნასწავლ ახალგაზრდას ივანე კაჩუხაშვილს.

—

გუდაუთი. „ივერიაში“ იყო გამოცხადებული გუდაუთის დუქნების ამბავი. ეს დუქნები ათი ვერსით დაშორებულია ეკკლესიიდგან. სამის დღის წინად მოვიდა ქუთაისის გუბერნატორიდგან მოწერილობა, რომ ეს დუქნები დაკეტონ. მოწერილობის მიღებისათანავე სუყველას წაართვეს პატენტები და აღუკრძალეს ღვინით ვაჭრობა. დუქნების დახურვა კარგი საქმეა, მაგრამ ვერ გაგვიგია, რალად მისცეს ნება ვიღაც კრუას იმავე დუქნების ადგილას ემართა სამასხარო წარმოდგენები და ექვიტინებინა „არღანი“!..

—

სოფ. ნადვარევი (დუშეთის მაზრა). 7 ივლისს სამხედრო-საქართველოს გზით მობრძანდა მისი მაღალ-უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ალექსი, რომელმაც განსინჯა მთის ყველა ეკკლესიები. მისს მეუფებას უკვირდა და ებრალებოდა ეკკლესიებისა და ხალხის სიღარიბე. ხალხი და სამღვდელოება ხვდებოდა ექსარხოსს ყველა ეკკლესიებთან პურ-მარილით (მჭადითა და ქერის პურით).

ალექსი არგანაშვილი.

—

რაჭა. რაჭის მაზრა სწავლა-განათლების მხრივ ერთი ჩამორჩენილი კუთხეა საქართველოსი. უსწავლელობას საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენი ხალხის სიღარიბის მიზეზთა შორის. ადგილის სივიწროვემ რაჭველები დიდს შრომას, გარჯილობას მიაჩვია. მაგრამ ახლანდელ დროში შრომა და სიმდიდრე ერთად როგორღაც ვერ თავსდებიან. დიახ, მარტო შრომა არ კმარა კაცის კეთილ-დღეობისთვის: ვინც ანგარიში არ იცის, ის ზარალსა და სარგებელს ვერ გაიგებს.

ბევრი დღეობები იციან, მაგ. ელიობა, კოხინჯრობა, შვიდ-მაისი, მარიამ ღოგინის ბერტყა. გარდა ამისა, ზოგ სოფლებში [illegible], ზოგან პარასკევობით ცოდვად მიაჩნიათ, „მიწის ნძრევა“, ე. ი. ამ დღეებში არცა ხვნენ, არც თოხნიან. ერთი დღის ხვნა ერთი უღლის ხარით ჩვენში ღირს 2 მან. ხშირად დამქირავებლის ხარჯის გარდა, მარტო ორი მან. რომ ვიანგარიშოთ, ერთი სოფელი, სადაც, ვთქვათ, ასი მოსახლეა, ერთი დღის უმუშევრობით ზარალობს 200 მან. თუ ამ სოფელში ხუთი ასეთი უქმე დღე იციან, ზარალი 100 თუმანს შეადგენს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ვთქვათ, ზაფხულია, თესვის საღერღელი დროა. გათენდა პარასკევი და „მიწა არ იძვრის“, შაბათის კოხინჯრობაა, ან სხვა უქმე, კვირა ხომ არ იტეხება. ასეთ დღეებში მოიყრის თავს მთელი სოფელი, დასხდებიან „თემათ“, შესჭამენ ამ დღეს, თუ რამე გააჩნიათ, დათვრებიან, დაერევიან ერთმანეთს და ხანჯლის ტრიალს გამართავენ... მოკლული მიდის სასუფეველში, მკვლელი ციმბირში, მათი ოჯახები რჩებიან ობლად, უმწეოდ. წელს, შვიდ მაისს, სოფელ ბარში მიწვეულმა სტუმარმა მოჰკლა ჩინებული გლეხი კაცი; სოფელ ურავში მოჰკლეს ერთი კაცი. სოფ. უწერაში დაასახიჩრეს ერთმანეთი ხანჯლებით. აი, რამდენი ზარალი მოაქვს „მიწის არ ძვრის“ ჩვეულებას!

მეორე ჩვეულება, რომელსაც იმერეთის ეპისკოპოზმა მიაქცია ყურადღება, არის მიცვალებულის დიდის ზეიმით დამარხვა. რამდენი ხარჯი, რამდენი უბედური შემთხვევა მოსდევს ასეთ ზეიმს! რაც უნდა ავი დარი იყოს, ყველა ნათესავებში უნდა გაიგზავნოს «გამცხადებელი», რომ დანიშნულ დღეს ყველა შეგროვდეს სატირლად. მომხდარა მაგალითები, რომ წყალ-დიდობის დროს გამცხადებელი წყალში დამხრჩვალა და გაუუბედურებია ოჯახი.

მესამე ცუდი ჩვეულება ის არის, რომ ავადმყოფისათვის ექიმს არ იწვევენ, მკითხავს მიჰმართავენ ხოლმე, და ეს-კი ავადმყოფობის მიზეზად ხატს ასახელებს. ავადმყოფი დაჰპირდება რასმეს ხატს და იცდის, სანამ თავისით მორჩებოდეს. მაგრამ ხატი ქრთამს არ იღებს, ავადმყოფი-კი ამასობაში სამოთხეში ამოჰყოფს ხოლმე თავს, თუ ბეწვის ხიდს გადურჩა. უნდა შევნიშნო, რომ ამ შემთხვევაში არც ექიმები არიან უცოდველნი, თავის მიუკარებლობით.

რამდენიმე კიდევ სხვა მავნე ჩვეულება და ცრუ-მორწმუნეობაა გავრცელებული ჩვენში, რამდენი უგუნურებაა?! მაგალითად, ტყეების დაუზოგველად გაჩეხვა, აღდგომას მკვდრისთვის „ჩამოსარიგი“, ანუ მთელი ხალხის სუფრაზედ გამასპინძლება და სხვა. დიახ, „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე“. ძველ ჩვეულებებს ის მისდევს, ვინც იმ ჩვეულებებში აღზრდილა და სხვა არა უნახავს-რა და არც გაუგონია-რა. სწავლა საუკეთესო წამალია ჩვენი სიდატაკიდან გამოსაყვანად. მაგრამ სად არის სკოლები? ჩვენში ოც სოფელს ერთი სკოლა ვერც-კი მოუწევს. ხალხმა თვითონ არ იცის სკოლის მნიშვნელობა და არც შეძლება აქვთ მისი შენახვისა, მზრუნველი-კი არავინ სჩანს... სოფლის ინტელიგენციას ბევრი რამ შეეძლო, მაგრამ ვინ არიან ინტელი-

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

სიყვარულის ყვავილი

(ნოველა)

— შემომფიცე, შემომფიცე, თორემ ეჭვი მკლავს, ეუბნებოდა ვედრებით ჭაბუკი მშვენიერ ქალწულს.—ვფიცავ აი, ამ გულის ნელ ძგერას, რომლის მსგავსი ჯერ არ მიგრძვნია, ვფიცავ აი, ამ ბუნების ღიმილს, ჩვენდამი მომართულს, რომ მიყვარხარ და მეყვარები კიდეც!..—უპასუხა ქალმა და თვალებიდგან ჭაბუკს სახეს სხივები მიაფინა.—აი, ეს ნარნარი ვარდი იყოს ამ ფიცის მოწმე—განაგრძო ქალმა—და, თუ გავტეხო ფიცი—ამ ვარდმა გამასამართლოს...

— აბა, შეხედე, როგორ შეირხა, თითქოს იგრძნო, რომ თავდებად იწვევ—უთხრა ქალს ჭაბუკმა, რომელსაც სახე მთლად გაუბრწყინდა.

მართლაც, უცბად დაძრულმა სიომ ბუჩქის რტო შეანძრია და ვარდი შეირხა, თითქოს [illegible] მოწოდებაზედ თანხმობის ნიშნად თავს იხრიდა.

— იცოდე, — განაგრძო ჭაბუკმა — სიყვარულში ვარდი მკაცრი მსაჯულია... მისგან ჯავრ-დადებული მოღალატის სახელს ველარ მოიშორებს...

— ჰო, კარგი, ნუ მემუქრები! თვით შენ არ მოგიხდეს პასუხის გება ამ სიყვარულის ყვავილის წინაშე!.. აბა, შენც შემომფიცე... ქალს თვალები ცელქად აუციმციმდა.

— ოჰ,—ამოიოხრა ჭაბუკმა—ნეტავ, შენც ამსავით გეშინოდეს ამ პასუხის გებისა... მაშინ უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი ქვეყანაზედ.

სიჩუმე ჩამოვარდა. მიჯნურნი დადუმდნენ და, ერთმანეთის ჭვრეტაში შთანთქმულნი, გზას გაუდგნენ ხელი-ხელ გაყრილნი.

ვარდი-კი ყელ-მოღერებით ნაზად ირხეოდა, თითქოს მათს სიყვარულს ჰლოცავდა.

— საკვირველია ღმერთმანი—წასჩურჩულა ვარდის შორი-ახლო ამოსულმა ყაყაჩომ თავისს მეზობელს ზამბახს, როცა ბაღში ფეხის ხმა მიწყნარდა—რა ნახა ადამიანმა ვარდში ისეთი, რომ სიყვარულის საკურთხევლად მიაჩნია?.. აბა, პირ-მოთნეობაში ნუ-კი ჩამომართმევ და შენ უფრო არ შეგშვენის სიყვარულის მოციქულობა? ან თუ გინდა მე!.. მე რითი ვარ ვარდზე ნაკლები?!

კდემა-მოსილი ზამბახი, ცოტა არ იყოს, სირცხვილმა შეიპყრო, რადგანაც გამოუცდელი იყო; ბოლოს სიწითლე მორეულმა და თავ-დახრილმა გულ-უბრყვილოდ უპასუხა:

— მე არ ვიცი, რა არის ეგ სიყვარული... თუმცა სულ. ის მესმის „ამას ეს უყვარს, იმას ესაო“, მე ჯერ არ გამომიცდია იგი... ყველა ისე მიყურებს, თითქოს ბავშვი ვიყო... ალბად, დაბალი რომ ვარ, იმიტომ...

— ნუ ხარ, ყაყაჩოვ, შურიანი და ღვარძლნარევი—მიჰმართა დარბაისლურ კილოზედ ბრძენმა ნარგიზმა—ვარდი თითონვე მრავალტანჯულია სიყვარულისაგან და ადამიანიც იმიტომ სთვლის ვარდს სიყვარულის ყვავილად...

ყვავილებმა უცბად ხმა გაკმინდეს, რადგანაც ფეხის ხმა მოისმა.

ბაღის ხეივნის ბოლოს კვლავ გამოჩნდნენ მოტრფიალენი.

— მაშ, ამ საღამოს აქ, ამ ვარდთან?...—დაეკითხა ჭაბუკი ქალწულს და თვალებში ჩააცქერდა.

— აქ, ამ ვარდთან,—იყო მოკლე პასუხი.

გაისმა აღგზნებულ ტუჩთა შეწებების ხმა.

ზამბახმა თავი დახარა, თითქოს ეს უცნაური ხმა მის კდემა-მოსილ სმენას ეძრახა.

— გარყვნილნი! მზისა მაინც როგორ არა სცხვენიათ?!.—კვლავ წასჩურჩულა ზამბახს ყაყაჩომ.

— გაჩუმდი, ემანდ შენთვის ეგდე!—შეუბუზღუნა ყაყაჩოს ნარგიზმა—მზე შენს მოსარჩლეობას არა ჰსაჭიროებს.

ვარდი-კი კვლავ ნაზად ირხეოდა, შეყვარებულთა ალერსით გალაღებული და ყურს არ უგდებდა ყაყაჩოს გესლიან სისინს.

⁂

სამყაროს ნელ-ნელა სიბნელე შემოეპარა და ბუნების ყოველი გამოსახულება სიფრიფანა ბინდ-ბუნდში გაეხვია.

ბაღში ფეხის ხმაურობა მისწყდა და მცენარეებმა ენა ამოიდგეს. მოჰყვნენ საუბარს, ერთმანერთს უამბობდნენ, ვის რა ენახა, ან ვის რა გაეგო. ყველაზედ ბევრს იასამანი ლაპარაკობდა.

— ადამიანს ყველაზედ ძალიან მე ვუყვარვარ... დღეს აუარებელი ყვავილი გავეცი... მოსვენება არა მქონდა... მაგრამ რა უდიერი რამ არის ადამიანი, ვერაფრით გააძღობ... ეს ყვავილი ხომ მიაქვთ და მიაქვთ... მე თითონ დიდის სიამოვნებით ვთავაზობ ყვავილს, განსაკუთრებით ბავშვებს... ძალიან მიყვარან... რა გამოვიდა მერე? ყვავილებით როდი კმაყოფილდება ადამიანის გაუმაძღარი მადა!.. ყლორტსაც მგლეჯენ და სხეულს მიწყლულებენ.. მთლად დაიარავებული ვარ...

— შენ ისეთი საკრეფი ხარ, ჩემო დაო, რომ უყლორტოდ ვერ მოიწყვიტება შენი ყვავილი—ამოსძახა დაბლიდგან ფირუზა ყვავილმა.

— ოჰ, შენც სათვალავში ბრძანდები, ქალბატონო?—გაეხმაურა დაცინვით ყაყაჩო ფირუზას.—აბა, შენ ხომ ყურ-მოჭრილი თაყვანის მცემელი ხარ ვარდისა... იმას-კი ადამიანი დიად არსებად მიაჩნია... მაგრამ ვინ არ იცის ვარდის ოინები!.. მისი გაგორ-გამოგორება ხელის გულზედ?

— შენ კიდევ ვარდს გადასწვდი?—უთხრა გაჯავრებით ყაყაჩოს ნარგიზმა,—შუაზედაც რომ გაიპრიწო, მაინც ვერას გახდები, ვარდს ვერ შეგვაძულებ... რაც გინდ ბევრი ალაქლაქო ეგ ჰორიკანა ენა, მაინც ვარდს ჩვენს თვალში აბრუს ვერ გაუტეხავ!.. მითომ რაო? ახლა, ლამაზი რომ გგონია შენი თავი, აქაო და შავი ხალი მაზისო, მითომ ამით გინდა ადამიანი მიიბირო? ვარდს უწევ რაღა მეტოქეობას?

— ერთი მიბრძანე, მითომ რატომაო?

— იმიტომ, რომ გაკლია ის, რაც ვარდის სული და გულია, ე. ი. სუნნელება. ეს ნიჭი ვარდის შინაარსია და სწორედ იგი ჰხიბლავს ადამიანს, თუმცა გარეგნობითაც ვარდი გაცილებით შენზედ ლამაზია. და, განა, მარტო ადამიანსა ჰხიბლავს ვარდი? აი, ყური დაუგდე... გესმის? ხომ გესმის, როგორა ჰკვნესის ბულბული, ვარდის სიყვარულით გამსჭვალული?!

— ოჰ-ოჰო! დიდი ამბავია!—გააწყვეტინა ყაყაჩომ ნარგიზს სიტყვა.—მერე, შენც რა ლამაზი ვინმე დაასახელე!.. ერთი შეხედე—რა უშნო რამ არის!.. მაგისი სიყვარული...

— ახლა რა ვუყოთ, რომ ძალიან ლამაზი არ არის, სამაგიეროდ რა მომღერალია!.. ჟრუანტელი მივლის ხოლმე სხეულში, როცა ბულბული უსტვენს,—უპასუხა გულის-ტკენით ნარნარმა და პაწიამ, რომელიც ფარული მოტრფიალე იყო ბულბულისა.

— შენ რომ, ჩემო პაწიავ, ხმა არ ამოგეღება—უთხრა დაცინვით იაის ყაყაჩომ—ვინ არ იცის, რომ შენ ბულბულისთვის სული გხდება, მაგრამ ამაოდ... ყურადღებასაც არ გაქცევს... ამის შემდეგ რად გამიკვირდება, რომ ბულბულის სლოკინმაც-კი თავ-ბრუ დაგასხას.

— აბა რაში მოგეწონება ბულბულის სტვენა? რა შენი სასმენია? შენ, ჩემო ძვირფასო, დიდ-ყურას ყროყინს უნდა უგდო ყური... ტყუილად-კი არ გეძახიან „ვირის ვარდსა“.

ნარგიზის ამ სიტყვებზედ ყვავილებმა სიცილი ასტეხეს. ყველაზედ ძალიან ფირუზა და იაია კასკასებდნენ, რადგანაც ყაყაჩომ ისინი მასხარად აიგდო და ახლა-კი სამაგიერო მიიღო.

— გაჩუმდით!—გააწყვეტინა ნარგიზმა ყვავილებს სიცილი—ყური დაუგდეთ, რა გრძნობის ლექსებს ეუბნება ბულბული ვარდსა... კარგად ჩაუკვირდით მისს სიტყვებს და მაშინ მიხვდებით, რად არის ვარდი ყველაზე ძლევამოსილი!..

მართლაც ვარდის ბუჩქზედ ბულბული შემომჯდარიყო და გრძნობა-მორეული ვარდს უგალობდა.

— რად დაფიქრებულხარ, ჩემო სიცოცხლევ? რამ გადააკრა შენს მშვენიერ ბაგეს ჰმუნვარება? ან იქნება ისე დავბერავდი, რომ ჩემი ხმა უწინდელებრ ველარა სწვდება შენს გულს და ველარ გიღვიძებს გრძნობას სიყვარულისას? ნუ-თუ ჩემს ჩანგს სიმები მოუდუნდა და წინანდელებრ ველარა ჰჟღერს? ან, იქნება, აგერ ის ვარსკვლავთ კრება კვლავ აღარ შესტრფის შენს მშვენებას ნაზის ციმციმით? ნუ-თუ სიყვარულის სამფლობელოში ვინმე პირველობას შემოგედავა? მითხარ, ნუ მტანჯავ, თორემ, ვფიცავ შენს სიყვარულს, უკუ-ვაგდებ ღვთისაგან მომადლებულს ნიჭს, გავაქრობ ერთის შებერვით გულში ანთებულს წმინდა ცეცხლს და ყვავივით მოვრთავ ჩხავილს, რომ ვიტირო თავი ჩემი, სიყვარულის საკურთხეველს მოწყვეტილი, ან ვიქცევი ლობე-მძვრალა ბეღურათ, რომ ქვეყანამ მასხარად ამიგდოს!—

ასე შეჰღაღადებდა ცეცხლ-მოკიდებული ბულბული ნაღვლიან ვარდს, რომელსაც თავი დაეხარა და მწარე ფიქრებს მისცემოდა; როგორცა სჩანდა, აღარ იტაცებდა ბულბულის სტვენა. ბოლოს გამოერკვა მდუმარებას და ხმის კანკალით უპასუხა ბულბულს:

— არა, ჩემო მგოსანო! შენი სიმღერა კვლავინდებურად ტკბილ-ხმოვანია... ჩანგიც წინანდელებრ მგზნებარედ გიჟღერს... სასიყვარულო სიტყვებიც გრძნობის ცეცხლს აფრქვევს... ვარსკვლავთა ნაზ ციმციმში კვლავ ვკითხულობ ჩემდა მომართ აღტაცებას... მაგრამ გული მოკლული მაქვს ადამიანისაგან და ის მაწუხებს... სიყვარულს უღალატა ადამიანმა, იმ სიყვარულს, რომელიც აღფრთოვანებს ამ წამს შენს კეთილშობილ არსებას და აი, ამ ღალატმა ამიშალა კაეშანი.

აბა, ჩააკვირდი ამ ნეტარ-მდუმარებით სავსე ღამეს... თვალი მიავლ-მოავლე ამ მიყუდროებულ არე-მარეს... მას ზედ გადაჰფა-

გენტები?—მღვდელი, მასწავლებელი და სოფლის მწერალი. სხვა არავინ. რა-კი ჩვენში სასწავლებლები არ არის, ცხადია, არც მასწავლებლები იქნებიან. დარჩა მღვდელი და სოფლის მწერალი. სოფლის მწერლები უმეტეს ნაწილად „მოსე მწერლებია“, მაშ, დარჩა მხოლოდ მღვდელი. ახლანდელ დროში მღვდელთ-მსახურება ზოგიერთებისთვის მაინც ხელობად არის გადაქცეული. ხალხის სიბნელე, ცრუ-მორწმუნეობა, ბევრი უქმეების მოწეობით დაცვა წარმოადგენს ზოგიერთ გაიძვერა კაცების არსებითს წყაროს... ამიტომ არავინ არის, რომ სოფელს გაუძღვეს და რიგიანად მოუაროს, ერის გამჩანაგებელი დღეობები და ცრუ-მორწმუნეობანი ამოაგდოს ძირიან-ფესვიანად...

ასეთია ჩვენი ყოფა-მდგომარეობა. როდემდის ვიხივზივებთ ასრე? ვინ გამოგვაჩნდება მშველელი?.. მერწმუნეთ, არავინ. ჩვენვე ჩვენს თავს უნდა ვუშველოთ და წამალთ დავედოთ. ამის მეტი სხვა ღონე და საღსარი არ არის ჩვენის გამოკეთებისა.

ჩვენს სოფელში (სამიწო) მიწის ძვრა ხშირად არის. მაისში აქ იყო გოლოდკი და მის დროსაც იძრა მიწა. მიწის ძვრამ ქვითკირის სახლები დაანგრია.

წელს, გაზაფხულზე, ბევრს ჩვენს სოფლებში გაჩნდნენ ყაჩაღები, რომლების ავ-კაცობა უკვე მოხსენებული იყო გაზეთებში. ეს ყაჩაღები ეხლაც განაგრძობენ თავიანთ „მოღვაწეობას“. პოლიცია დასდევს დასაჭერად, მაგრამ ამაოდ: ყაჩაღები ტყიდგან არ გამოდიან და „სტრაჟნიკები“ ტყეში არ შედიან. ხალხიც იყო ტყეში გაწვეული ჯოხებით, მაგრამ ჯოხებით ყაჩაღების გამორეკვა „არ უნახავს თვალსა ჩვენსა“.

პორფირე იაშვილი.

კავკასია

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბაქოში აპირებენ ახალის გაზეთის დაარსებას რუსულს ენაზედ. გაზეთს სახელად ერქმევა „ბაქო“. რედაქტორ-გამომცემლად ასახელებენ ბაქოს გიმნაზიის ინსპექტორად ნამყოფს ლავროვს, რომელსაც რედაქციის გამგებლად მიუწვევია მ. ა. უსპენსკი, რომელიც მხნე თანამშრომელი იყო რუსულის, აწ მოსპობილის გაზეთის „როსიასი“ და რომელიც ნიკოლაძის დროს „ნოვ. ობოზ.“-ეს ოფიციალურ რედაქტორად ითვლებოდა.

უცხოეთი

ინგლისი. მას შემდეგ, რაც ინგლის-ბურების შერიგება მოხდა, სულ იმას გაიძახოდნენ გაზეთები, ოფიციალურ პირობათა გარდა, რამდენიმე საიდუმლო პირობაც დასდესო; ზოგიერთნი ვარაუდობდნენ, ეს პირობები, ალბად, მეფის გვირგვინის კურთხევის დღეს იქნება გამოცხადებულიო. რასაკვირველია, ინგლისისათვის სათაკილო იყო საქვეყნოდ განეცხადებია, „დამონებული“ ერი ამა და ამ პირობების შესრულებას მაიძულებსო; ამისათვის გადასწყვიტეს ეს პირობები გვირგვინის კურთხევის დროს გამოეცხადებინათ, როგორც „წყალობა“. ამნაირად ინგლისიც პირნათლად შეასრულებდა თავის სიტყვას და ბურებიც კმაყოფილნი დარჩებოდნენ. მაგრამ, საუბედუროდ, მეფე ავად გახდა და გვირგვინის კურთხევა რამდენიმე თვით დაგვიანდა; სამხრეთ-აფრიკაში-კი მოუთმენლობას იჩენდნენ და ხმამაღლად აცხადებდნენ უკმაყოფილებას, რად არ ასრულებს მთავრობა თავის დაპირებასაო. სხვათა შორის, ბურები თავიდგანვე თხოულობდნენ, მილნერი უეჭველად მოგვაშორეთო. ეხლა, გერმანელ გაზეთების სიტყვით, ტრანსვაალის ვიცე-გუბერნატორად დაუნიშნავთ არტურ ლოული, რომელმაც მილნერის დაუკითხავად უნდა განაგოს ახალშენის საქმეები. ასე რომ მილნერს მხოლოდ სახელი-ღა რჩება გუბერნატორისა. გაზეთები იმასაც იტყობინებიან, ვითომც გვირგვინის კურთხევის შემდეგ მილნერს სულაც მოაშორებენ სამხრეთ-აფრიკასაო. თავი და თავი მიზეზი, ალბად, კიტჩენერს და მილნერს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება უნდა იყოს; ამ უკანასკნელ ხანებში ამ უთანხმოებას მიემატა კონსტიტუციის საკითხი და სხვა საპოლიტიკო „საქმენი საგმირონი“, რომელნიც სრულებით არ შეესაბამებოდა მთავრობის სურვილს—მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულება იქონიოს ახლად შემოერთებულ ქვეყნებთან.

ახლად დანიშნული ვიცე-გუბერნატორი ჯერ ისევ ახალგაზდა კაცია—42 წლისა; უწინ ის მსახურობდა გუსარის პოლკში, შემდეგ ადმინისტრაციაში გადავიდა და მატაბელელენდში კარგი თანამდებობა მიიღო. ამ უკანასკნელად დასავლეთ ავსტრალიის გუბერნატორად იყო.

— მეფის ჯან-მრთელობა თანდათან უმჯობესდება. ამ დღეებში მეფემ ინახულა უელსის პრინცი და პორტუგალიის ელჩი—თავისი საყვარელი მეგობარი. მიუხედავად ამისა, გზათა მინისტრმა სასტიკი განკარგულება მოახდინა, გემებმა მეტად წყნარად და ფრთხილად იარონ იმ მიდამოში, საცა მეფის იახტა იმყოფებაო.

— ორშაბათს, 8 ივლისს, ლორდთა პალატაში დიდი კამათი უნდა მომხდარიყო. ლორდს სპენსერს უნდა ელაპარაკნა აღმოსავლეთ-აზიის საკითხის შესახებ და გარდა ამისა მთავრობისაგან უნდა მოეთხოვა განმარტება, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ინგლის-იაპონიისა და ინგლის-იტალიის ურთიერთობაო.

საფრანგეთი. ადმინისტრაცია შეუდგა უკვე კომბის ცირკულიარის (საკონგრეგაციო სკოლების შესახებ) სისრულეში მოყვანას. პოლიციამ 2-სა და 3 ივლისს ყველა სკოლების გამგეთ გამოუცხადა, 10 ივლისამდე უეჭველად უნდა დაჰხუროთ თქვენი სკოლებიო.

ჯერ-ჯერობით პირდაპირ წინააღმდეგობას არავინ უცხადებს პოლიციას და, იმედია, საქმე მშვიდობიანად დაბოლოვდება. პარიჟში კრება ჰქონდა სამღვდელოებას, რომ საერთო მოქმედებისათვის რაიმე გეგმა შეედგინათ, მაგრამ კარდინალ რიშარის მეცადინეობით კრებამ უარ-ჰყო ყოველ-გვარი წინააღმდეგობა. მაგრამ კლერიკალთა გაზეთობა მაინც არა სცხრება. „Gaulois“-ში დაბეჭდილია კომბის მიმართ ღია წერილი, რომელსაც 6 დეპუტატი აწერს ხელს: დენი, კოშენი, აბბატი ჰეირო, პ. დეროლი, ბარონი მარკო, გრაფი მენი და დე-რამელი. წერილის კილო მეტად უდიერია: „თქვენ, არამც თუ უკანონოდ მოიქეცით, თვით ქრისტიანობის წინააღმდეგაც ამხედრდითო. თქვენი ანტილიბერალური, ათეისტური და იაკობიური აზრები დღეს ყველამ ცხადად დავინახეთო“. ფინისტერის დეპარტამენტის სენატორმა შამეიერმაც გაუგზავნა წერილი კომბს და გააფრთხილა, დაიწყება თუ არა სესსია, უეჭველად შევეკითხები სამინისტროს საკონგრეგაციო სკოლების დახურვის შესახებაო.

შეერთებული შტატები. ამერიკის მთავრობამ ნოტა გადასცა ვატიკანს, უეჭველად მოგვაშორეთ ფილიპეს კუნძულებიდგან კათოლიკე ბერების ორდენებიო, ამას თვით კათოლიკე ეკკლესიის ინტერესი მოითხოვსო. ამერიკის მთავრობა მიზეზად იმას ასახელებს, რომ ბერებმა ადგილობრივ სამღვდელოებაში ერთი დავიდარაბა ასტეხეს და საშველი აღარ მიეცათო. მოსალოდნელია, რომ ამის შემდეგ ყოველგვარი მოლაპარაკება ვატიკანსა და შეერთებულ შტატებს შორის სამუდამოდ შესწყდეს.

— ცნობილი ამერიკელი მილიარდების პატრონი—პირმონტ მორგანი, რომელმაც უდიდესი სანავოსნო ამხანაგობა (ტრესტი) შეადგინა, ახლო მომავალში დააარსებს თურმე ანტვერპენში ევროპის სანავოსნო კამპანიის ცენტრალურს სამმართველოს. ამ კამპანიის გემები ივლიან ანტვერპენიდგან ხმელთა შუა ზღვის ყველა მთავარ ნავთ-სადგურებში.

ჰოლანდია. პრეზიდენტს კრიუგერს ბერლინში მყოფ ბურთა კომიტეტისათვის გაუგზავნია წერილი და ატყობინებს, არავითარი სურვილი არა მაქვს ინგლისის სტუმართ-მოყვარეობით ვისარგებლოო; რაც შეეხება ტრანსვაალს, მე საქვეყნოდ გამოვაცხადე, რომ იქ არაოდეს არ დავბრუნდებიო.

სამხრეთ-აფრიკა. ორანჟეს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი შტეინი, რომელიც უკანასკნელ ხანებში სრულიად დაავადმყოფდა, ამ დღეებში ევროპისაკენ გამგზავრებულა მთელის ოჯახობით. კაპშტადტის მცხოვრებლებმა დიდის ამბით მიაცილეს თურმე გემამდე და ბედნიერი მგზავრობა უსურვეს სახელოვანს მამულიშვილს. გაზეთი „Morning Post“-ი დიდის ქებით იხსენიებს შტეინს.

სამხრეთ-აფრიკის ახალშენებმა მრავალი სწორ-უპოვარი ლომ-გული გმირი გამოიყვანა „საზღაპრო“ ბრძოლის ველზედ, მაგრამ პატარა ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტი შტეინი ყველას აღემატებოდა სპეტაკ კეთილშობილებით, ძლიერის ჭკუით, მტკიცე ხასიათით, მამაცობით და დიდ-სულოვნობით. შტეინს არავითარი მიზეზი არა ჰქონდა ინგლისს შეჰბმოდა, მაგრამ, განა, შეეძლო ამ კეთილშობილს რაინდს მხარში არ ამოსდგომოდა თავის მოძმეთ, ტრანსვაალის მკვიდრთ, როცა მათ განსაცდელი მოელოდდათ? ასტყდა საარაკო ომი, რომლის მსგავსიც არავის უნახავს და არავის სმენია, და შტეინი შეიქნა მისი სული და გული უკანასკნელ წუთამდე. მისი შეურყეველი ენერგია, მამულიშვილური სიმამაცე და ძლიერი სამხედრო ნიჭი მტერსაც ანცვიფრებდა და მოყვარესაც. როდესაც სხვა სარდლებმა გადასწყვიტეს, მეტი ბრძოლა შეუძლებელია და უნდა მოვიხაროთ ქედი ინგლისის წინაშეო, ერთად-ერთმა შტეინმა, მაშინ უკვე დაავადმყოფებულმა, აზრადაც არ გაიტარა ინგლისის შერიგება და გადაწყვეტილი ჰქონდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არავისთვის დაეთმო სამშობლოს თავისუფლება. მხოლოდ მარტო იმან არ მოაწერა ზავის პირობას ხელი; და ვერც ერთმა ინგლისელმა ვერ გაჰბედა საყვედური ეთქვა მისთვის! ასეთია ისტორია დიდ-ბუნებოვან გვამთა: ვერავითარი მატერიალური ძალა ვერ შეარყევს მათს რწმენასა და ვერ დასთრგუნავს მათს სულიერს ძლიერებას.

ინდოეთი. ოსტ-ინდოეთის საზოგადოებაში ტორბერნმა მოხსენება წაიკითხა და შემდეგ კიდევაც დაბეჭდა „Quarterly Review“-ში, შემდეგის სათაურით: „ხალხის განათლება გაზეთების საშუალებით“. ავტორი ამბობს, აუცილებლად საჭიროა ხალხის გასანათლებლად ხშირად დასახლებულ ადგილებში მაინც გამოიცეს მთავრობის გაზეთებიო. ავტორის სიტყვით, ინდოეთში ნელა ვრცელდება სწავლა-განათლება. მაგალითად, 10 ბავშვში 1 სწავლობს; ნამდვილ განათლებას 400-ში 1 მეტი ვერ ღებულობს. ბავშვს სწორედ მაშინ სტოვებენ უპატრონოდ, როცა მისი ტვინი აზროვნობის მანქანად იქცევა. ჟურნალ-გაზეთობის საქმეც ვერაა რიგიანად დაყენებული: მთელს ინდოეთში 600 პერიოდული გამოცემაა.

თუ ყოველსავე ამას მივიღებთ მხედველობაში—ამბობს ტორბერნი—უეჭველად დამეთანხმებით, რომ დიდად საჭიროა ყოველ-დღიურ პირველ-ხარისხოვან გაზეთების გავრცელება ამ ქვეყანაშიო. ეს გაზეთები, რასაკვირველია, თავის მცირე ფასით ყველასათვის ხელმისაწდომი უნდა იყვესო.

ბიბლიოგრაფია

И. К. Канадѣевъ. Очерки Закавказской жизни. Т. первый. С.-Петербургъ, 1902 г.

ბ-ნს კანადეევს მოუსურვებია კავკასიის აწინდელ ერთა ცხოვრება და მათი ყოფა-ვითარება გააცნოს მკითხველს საზოგადოებას. მას დიდ-ხანს უმსახურნია ჩვენ შორის, გასცნობია ქართველებს, სომხებს, ოსმალ-თათრებს, სპარსებს და თავის ნახულ გაგონილს, დაკვირვებასა და ცნობებს თავს უყრის ზემორე აღნიშნულს თხზულებაში, რომელიც იყოფება ორ ნაწილად. პირველში შემდეგი წერილებია: სომეხი, ოსმალო, ქართველი, სპარსი, პატიებული აჯაზაკი. მეორეში: რუსი.

ავქსონს ესრეთი ხერხი უხმარია: ყველა ერის წარმომადგენელს, რომელსაც კარგად იცნობს, ახასიათებინებს ღვიძლ ერს და მეზობლად მცხოვრებ ხალხებს. საკვირველი ის არის, რომ ყველა ეს დამახასიათებლები ავად იხსენებენ სომხებს, მეტადრე ტფილისელ ვაჭრებს, რომელთაც თვით სომეხი ავტორიც-კი торгашъ-ებათ ჰხადის (გვ. 24). საზოგადოდ, ყველა ავტორების ნაამბობი ფრიად საინტერესოა, მეტადრე ჩვენთვის. ვისაც ჰსურს ზედმიწევნით გაიცნოს დღევანდელი ურთიერთ შორისი განწყობილება აქაურ ხალხებისა, ვურჩევთ წაიკითხოს ეს წიგნი. მასში იგი იმისთანა ადგილებსაც წააწყდება, საცა ლაპარაკია ჰაიასტანის რუკების შესახებ. ამ რუკების მოხაზულობით, ჰაიასტანს თურმე შეადგენს, მცირე აზიის ოსმალეთს გარდა, მთელი საქართველო და ჩრდილოეთი კავკასია დონამდე. წიგნი წაიკითხეთ და იმას-კი ნუ იკითხავთ, თუ ამგვარ რუკებით ვის აბრიყვებენ მათნი დამხატავ-გამომცემელნი: თავიანთ თავს, თუ მთელს განათლებულს კაცობრიობას!!

არ იქნა და არა, სომხის ვითომდა მეცნიერებმა, დღემდის ვერ შეიგნეს, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, რომ ტყუილით არსად არას დროს ქვეყანა არ აშენებულა, რომ, თუ ტყუილით ქვეყანა შენდებოდეს, აქამდის მარტო მ. ქორენელის ცრუობით, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ხუთჯერ მაინც აღდგებოდა ჰაიასტანი.

ბატონებო და ძმებო, მაგ ცრუობით თუ ფონს გახვიდეთ და სოფელი ააშენოთ, სახლის ადგილს ჩვენ ნუ მოგვიზომავთ!

ბავშვურის წინდაუხედაობით ყოფილა დაწყებული თვით ჰაიასტანის აღდგენის საქმე ოსმალეთში. მოთავედ გამოსულან გრიგორი არწრუნი, რუსეთის საგარეო სამინისტროში მოსამსახურე კ. და სხ. სომხეთის აღდგენილ სამეფოს მთავრად გამოუცხადებიათ გრ. არწრუნი, „ვითარცა შთამომავალი სომეხთა უწინდელ მეფეებისა“, მუნდირების პაგონებზე წარსაწერად ამოურჩევიათ ორი ასო: მ. ბ. ე. ი. დასაწყისი ასოები სიტყვებისა: „გაერთებული სომხეთი“, საიდუმლოდ შეუქნიათ

რებია მსუბუქი და თხელი ნისლი, რომელიც თითქოს მშვენიერ ქალწულის აბრეშუმ თმისაგან იყოს ნაქსოვი... აი, საცაა მთვარე ამობრწყინდება და ოქრო-ვერცხლს განაბნევს ამ საბურავზედ...

მაგრამ, აბა, თუ ერთი ადამიანი გამოჩნდეს სიყვარულით ათრთოლებული?! არა, დაიკარგა ადამიანთა შორის სიყვარული... სიყვარული, რომელიც აკეთილშობილებდა ადამიანს, ჰჩრდილავდა მისს მხეცურ თვისებას და ბუნების გვირგვინათ ჰქმნიდა.

რამდენჯერ ვყოფილვართ მე და შენ უტყვი მოწმე ადამიანის ბედნიერებისა... რამდენჯერ დაუტკბია ჩვენი სმენა ათრთოლებულს ამბორს, რომელსაც ორი არსება აი, აქ, ჩვენს ფერხთა ქვეშ, ერთსულად გარდაუქმნია. მაშინ მე და შენ დაგვივიწყნია საკუთარი სიყვარული, რომელიც იმდენად მცირე და მარტივი გვჩვენებია ადამიანის დიდებულ სიყვარულის წინაშე, როგორათაც აგერ აი, ის ღრუბლის პაწია ნაჭერი ლაჟვარდოვან კამარასთან შედარებით.

და მივცემივართ ამ სიყვარულის ქებათაქებას—შენ—გრძნეული ჩანგის საშუალებით და მე-კი კეთილ-სურნელოვანების აღკმევით.

სად არის ახლა იგი სიყვარული? გაჰქრა, წავიდა, დავიწყებას მიეცა.

აი, დღესაც, ამავ ალაგას, ორი ახალგაზდა არსება ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდა... მე მიმიწვიეს მოწმად ერთგულის სიყვარულისა... აღუთქვეს ერთმანეთს ამ საღამოთი აქ, ჩემთან, შეხვედრა... მაგრამ სად არიან? დაავიწყდათ თავიანთი აღთქმა, ალბად ცხოვრებამ სხვა გზით გაიტაცა იგინი და დაუდუმა გულის ნეტარი ძგერა. არა, დაიკარგა ადამიანთა შორის სიყვარული... წვრილმანმა ანგარიშებმა, ცხოვრების მღვრიე ტალღებმა წაიღეს იგი სხვა მხრით...

ვერ წარმოიდგენ—განაგრძო კვლავ ვარდმა ცოტას ხნით გაჩუმების შემდეგ,—ვერ წარმოიდგენ, რა ზომამდე აუქცია ადამიანმა გვერდი ბუნების მიერ ნაჩვენებ გზასა!.. წინანდელ ადამიანს წმინდა საგნად მივაჩნდი, რადგანაც სიყვარულის სიმბოლოდ მსახავდა. წინად ყმაწვილი კაცი რომ ჩემს თავს ყმაწვილ ქალს უძღვნიდა ხოლმე, ეს ნაზისა და გულ-წრფელის გრძნობის ნიშანი იყო... იმის გარდა, რომ სიცოცხლის დროს მივლიდნენ, მეთაყვანებოდნენ, ვით სიყვარულის მახარობელს, როცა ვკვდებოდი, მაშინაც-კი ვახსომდი ადამიანს... ჩემს გახრწნილ ნაწილებს სასიყვარულო წერილებში ინახავდნენ, ვით თანამგრძნობ მესაიდუმლეს... რამდენჯერ აუმოძრავებია სანეტაროდ ადამიანის გული ჩემს უსულო სხეულს!.. რამდენი ტკბილი მოგონება, სურათი, წარმოდგენა ცხოველმყოფელის წარსულისა გადაუშლია წინ მისს თვალს ჩემის ნაწილების დანახვაზედ!..

ახლა-კი ყველაფერში ანგარიშით გატაცებული ადამიანი მწიკვლსა მცხებს თვისის შეხებით, რადგანაც მოტყუების იარაღად მხმარობს, რომ ჩემის ელფერით დაჩრდილოს თავისი დუხჭირი განზრახვანი.

ამას ხომ აღარ მაკმარებენ ადამიანნი... მსრესენ... სისხლს მადენენ და წვეთ-წვეთად სცვლიან ამ სისხლს უსულო ლითონზედ, რომელსაც ოქროს ეძახიან... განა, იქ სიყვარული გაიფურჩქნება, საცა თვით სიყვარულის ყვავილი ასეა შებღალული... არა, ადამიანთა შორის სიყვარული წაწყმდა!..

ასე ნაღვლიანად შესჩიოდა ბულბულს ვარდი და თანაც ნელის ცრემლით იწურებოდა.

ბულბული საშინლად ააღელვა სატრფოს ტანჯვამ და ამის გამო მან აღგზნებით მიჰმართა ვარდსა:

— დავანებოთ, ჩემო ტურფავ, თავი ადამიანს... მივეცეთ ჩვენს საკუთარს სიყვარულს და, მასში შთანთქმულნი, ადვილად დავივიწყებთ ადამიანს...

ვარდმა ბულბულს სიტყვა გააწყვეტინა.

— არა, ჩემო მეგობარო! ეგ შეუძლებელია... თუ ადამიანში სიყვარულის გრძნობა აღიკვეთა, მაშინ მთელს ბუნებას საშინელი უბედურება მოელის... ადამიანი მძლეთა-მძლეა, ყველაფრის დამონავება შეუძლიან... არც ერთი ძალი ბუნებისა წინ ვერ გადაეღობება მისს განზრახვას... თვით ჰაერსაც-კი უღელს დაადგამს იგი... ყველაფერს დაიმორჩილებს, რომ თავისდა სასარგებლოდ მოიხმაროს... აბა, ერთი დააკვირდი... სად არის წინანდელი თავისუფლება ბუნებისა? ყველაფერს რაღაც ბორკილის მსგავსი რამ დაედვა... მოძრაობა აღარ შეუძლიან... სუნთქვა ეკვრის... ადამიანის მსახვრალმა ხელმა თვით ჰაერიც-კი წაჰპილწა, მრავალგვარ შხამიანის მწერით გაავსო, რომელნიც საწამლავზედ უარესად გვაბრუებენ... ამას გარდა ფარგალი ბუნების სამთავროსი თან-და-თან ვიწროვდება... ტყეები იკაფება, ტყის მცხოვრებლებიც-კი თან-და-თან სწყდებიან... ნიავლვარნი და და ქარტეხილნი გახშირდნენ და წალეკას გვიპირებენ...

ჩვენ, ყვავილებს, მართალია, ადამიანი გვილოლიავებს, გვზრდის, გვპატრონობს, მხოლოდ ეს ალერსი, ლოლიაობა როგორიღაც უცნაურია... ჩვენი წინანდელი სახება, ღვთისაგან ბოძებული, თითქოს გადაგვარდა ამ აღზრდისაგან... გარეგნობით, მართალია, დიდრონნი ვჩანვართ, ელფერიანნი, მაგრამ ზიზილ-პიპილა ზედა-პირის ქვეშ, მჩატე გონება და გახრწნილი სხეული-ღა დაგვრჩენია.

და როგორ გგონია? რად იქცევა ამგვარად ადამიანი? იმად, რომ გრძნობა სიყვარულისა დაუჩლუნგდა... საკუთარის სარგებლობით გარემოცულს აღარ ესმის სხვისი ტანჯვა, სხვისი ვაება...

მაგრამ, თუ მისს გულში სიყვარული კვლავ იფეთქებს, ადამიანი გალმობიერდება, გრძნობა შებრალებისა, გრძნობა მშვენიერებისადმი მისწრაფებისა ჰპოვებს მის არსებაში ნაყოფიერს ნიადაგს და ახლანდელი მხეცური დამოკიდებულება მისი ბუნებასთან მაღლით დაიფერება, საკეთილოდ გარდაიქმნება.

და ვიდას მოწოდებაა, თუ არა ჩვენი, ე. ი. ჩემი და შენი, ადამიანის მკვდრეთით აღდგენა?! მე და შენ ვეცადნეთ, სანეტაროდ ავამღეროთ ადამიანის გული! აი, ეგ გრძნეული ჩანგი, ეგ მრავალ-მეტყველი ხმა და ცეცხლის მფრქვეველი სიტყვები შეუერთე ერთმანეთს და შეჰქმენ მომჯადოებელი ჰარმონია, რომელსაც შეეძლოს მკვდრის გაცოცხლება!.. დაჰკვნესე შენებურად... ნექტარში ამოავლე თითოეული სიტყვა, ზედ ცეცხლის ისარი მოაბი და ისე შესტყორცნე იგი ადამიანის გულს! აბა, შეუდექ შენს წმინდა საქმეს... და თუ კვლავ ვიხილე ჩემს ფერხთა ქვეშ, ადამიანისაგან სიყვარულისადმი გუნდრუკის კმევა, აი, მაშინ ვსცემ თაყვანს შენს გრძნობას და დიდებულ შემოქმედებას! მანამდე-კი ჩემი გული სიყვარულისათვის იქნება დახშული!..

ბულბულმა არა უპასუხა-რა; მხოლოდ შეიფთხრიალა და ფრთა-ფრთას შემოჰკრა; მერე იგი გეზად გაემართა.

— ახლა ხომ მიხვდი შენ ეი, ყაყაჩო, რაშია ვარდის ძლევა-მოსილება და მისივე დიადი მოწოდება?! მიჰმართა ნარგიზმა ყაყაჩოს.

სიჩუმე იყო ამის პასუხად. ყაყაჩოს კისერი მოჰგრეხოდა.

⁂

მთვარე მძიმედ ამოცურდა და თავისს ფირუზოვან ტახტზედ მედიდურად დაესვენა.

ყვავილნი, მთვარის შუქით განათებულნი, ამოძვრნენ; თითოეულმა მათგანმა თავისი პაწია არსება, ფიალად შეკრული, მთვარისაკენ მოწიწებით შეატრიალა.

უეცრად მოისმა ნელი, წყნარი და ბალახის ბიბინივით სათუთი შრიალი. ეს იყო საერთო ლოცვა, რომლითაც გაიმსჭვალა ყვავილთა კრება მთვარის მიმართ.

— ჰოი, ღმერთავ, მნათობო ღამისაო!— დაიწყო ვარდმა.

— ჰოი, ღმერთავ, მნათობო ღამისაო!— განიმეორა მთელმა კრებულმა

— ჰოი, მშვენიერო დაო ძლიერის მზისაო!— დაიწყეს ცოტა სიჩუმის შემდეგ ყვავილებმა— ჩვენო შუამდგომელო მის წინაშე! შენა სთხოვ ნათელს დიდებულს მნათობს და გვიგზავნი წყვდიადის შესამუსვრელად!.. ამის წილ ჩვენგან შეიწირე ეს მცირე მსხვერპლი—ჩვენი სუნთქვა, გარდააქციე იგი ზეციურ ცრემლად და კვლავ მოგვავლინე ჩვენ, რომ განვიბანოთ მწიკვლი ქვეყნისა!

ეს ჩუმი ღაღადისი ყვავილთა კრებისა, მათ ბაგეთაგან აღმონაქშენი, სპეტაკ კვამლად იფანტებოდა ვერცხლებრივ მბრწყინავ სივრცეში და ჰაერს კეთილ სუნნელოვანებით აზავებდა.

მთვარე თითქოს გრძნობსო მისდამი მიმართულ ლოცვას, პირ-მომღიმარე წინ გადმოხრილიყო, რომ ხარბად ეყნოსა ყვავილთა მიერ აღკმეული კვამლი მსხვერპლისა.

მისი სხივები ცის ლაჟვარდოვან კამარაზედ ნაზადა ჰკრთოდა და მნათობის დისკს ირგვლივ ფართო შარავანდედად შემოჰფენოდა.

ჯერ კიდევ არ შემწყდარიყო ყვავილთა ფშვენა, რომ ბუნების მდუმარება შეარყია მგზნებარე კოცნამ.

ყვავილნი გამოერკვნენ ღვთაებრივ აღტყინებას, სახე მიიქციეს იქით, საიდგანაც ეს ხმა მოისმა და რა იხილეს?

ვარდის ბუჩქის ძირას ორი ახალგაზდა არსება ერთმანეთს გადაჰხვეოდა და სრულიად შთანთქმულიყო ამბორში, რომლის აკკორდი ჯერ კიდევ არყევდა ჰაერს.

ვარდმა რომ ეს დაინახა, ნათელი გადაეფინა სახეზედ და თანაგრძნობის ღიმილით შეყვარებულთ გადმოჰხედა.

ამავე დროს ბულბულმა გაიკისკისა: „ჰა, სიყვარული“-ო.

ვარდმა იგრძნო მგოსნის ნისკარტის შეხება და უხვად გადუშალა თვისი გულ-მკერდი. ბულბულმა ვარდის ფიალაში თავი ჩაჰყო და ხარბად დაეწაფა დამათრობელს ნექტარს; მერე მაღლა აიხედა, თითქოს ზეცით ითხოვდა ზეშთაგონებას და დაიწყო პოემა სიყვარულისა.

ყველანი სდუმდნენ... თვით შური, გესლი და მტრობაც-კი დაწყნარებულიყო ამ დიდებულის პოემის წინაშე.

ილია ელეფთერიძე

თოფებიც და, ინგლისის მოიმედეთ, დაუწყიათ აღელვება ერისა და თავდასხმა ოსმალეზე.

განა ჩვენებურ ბავშვების „ჯარიანობის" თამაშს არ მოგვაგონებს ყოველივე ეს? ჩვენებურ ყმაწვილურ „ჯარიანობასა" და „ლაშქრობანას" კიდევ რაიმე აღმზრდელობითი აზრი აქვს, როდესაც ირჩევენ სპასპეტს, ასისთავებს, მორიგებს და, ორ-წყობად დაყოფილნი, ხის თოფ-ხანჯლებით იბრძვიან.

დალოცვილებო, ჯერ შეისწავლიდით თოფის სროლას და ომის ცეცხლს და მერე შეუდგებოდით მეფეების ამორჩევას და პაგონების მოგონებას, თორემ რასა ჰგავს ეს, რომ თქვენის წინდაუხედაობით გაიქლიტა და გაისრისა ასი ათასამდე გულუბრყვილო და ღარიბ-ღატაკი სომეხი, ის სომეხი, რომელსაც, როგორც ყველამ იცის აღმოსავლეთში, სისხლის დანახვაზედ ელეთ-მელეთი მოსდის და აუტანელი ცხრო ემართება.

დასასრულ, მოგვყავს შემდეგი საგულისხმიერო იგავი, რომელმაც, ეგების, ჭკუაში ჩააგდოს ზოგიერთი აჩქარებული ოცნებიანი.

ზღვის პირას, ქოხში, სცხოვრობდნენ ბერიკაცი და მისი მეუღლე ბერი დედაკაცი. თევზს იჭერდნენ და საზრდოობდნენ; იყვნენ მყუდროდ, მშვიდობიანად. ესრეთი მყუდრო ცხოვრება არ იკმარა ბერმა დედაკაცმა. მას მოუნდა ახალი გობი და ძალთა უფალმა მოუტანა; მას მოუნდა ახალი სახლი, იმავე ძალთა უფალმა კოხტა სახლიც აუშენა; შემდეგ სასახლე მოისურვა და ეს წადილიც აუსრულდა. ასრე გახდა იგი აზნაურადაც და ბოლოს მეფობაც მოინდომა. ახლა-კი იწყინა ძალთა უფალმა და ამაღლებულ-გათქვირებული ბებერი დაამხო და ისევ ძველანდელს ღარიბ-ღატაკს გლეხურს ქოხში დააბინავა.

მადლობის გამოცხადება

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ საშუალება, თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის"-საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის მხრივ, ისე რწმუნებულის ჩემდამი მაკვანეთის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის შტატის მრევლის მხრივაც, ბატონს მედიცინის დოკტორს მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილს, რომელმაც კეთილ-ინება და მაკვანეთის ეკკლესიას ახალის ქვის ტაძრის ასაგებად შესწირა ფულად ასი მანეთი.

მაკვანეთის ახლად შენებულის ქვის ეკკლესიის აღმშენებელ კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი ერმალოზ კალანდარიშვილი.

II

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ შემომწირველთ, რომელთაც კეთილ-ინებეს და შემოსწირეს სოფ. ნაღვარევის (დუშეთის მაზრის) წმ. გიორგის ეკკლესიას ასაშენებლად: ქ. ჩარჯუიდგან (ზაკასპიისკი ოლქიდგან) გამოგზავნილი ფოსტით: ფოტოგრაფმა ზაქარია ისააკის ძე ოთიაშვილმა 3 მ., ილიკო ღვთისიევმა 2 მან., იობა ავსაჯანოვმა 1 მან., დიმიტრი ცაბალოვმა 50 კაპ., სალომე ღუდუშაურმა 50 კაპ., ხინიკა აიდაროვმა 30 კაპ., ალიკერამ 50 კაპ., სოსიკა ღუდიევმა 50 კაპ., გრიგოლ აბაევმა 1 მან., სიმონ ვარდანოვმა 20 კაპ., მარიამ კობიევმა 35 კაპ., სიმონ იტონიევმა 20 კაპ., მარიამ მისასტოვმა 20 კაპ., გაბო კურკუმელმა 20 კაპ., ყირიმ ჯახაევმა 20 კაპ., ზოლოტინსკიმ 50 კაპ., კვეციანსკიმ 50 კაპ., ივანე ხართიშვილმა 50 კაპ., ივანე ბურდულმა 50 კაპ., მარიამ ბურდულმა 50 კ., ხინა ბურდულმა 50 კაპ. და მარიამ ბურდულმა 50 კაპ. ყველასა ვთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმეს.

ნაღვარევის წმ. გიორგის ეკკლესიის მედავითნე ალექსი არგანაშვილი.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.—Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

„ივერიის" ფოსტა:

ბ—ნს მ. ჭ—ს. შორიდგან მიჭვრეტს ერთი სხეული
უნდა ჩამაგდოს განსაცდელშია,
მაგრამ არ იცის, რომ ის ბოლო დროს
უნდა ჩავარდეს სატანჯველშია.
მიახლოვდება, თუმც კეკლუცია,
მე-კი შორს ვდგევარ გაჩუმებული
და ცოტა ახლოს რომ მოიწია,
მაშინ შევძახე აღელვებული:
„მასდექ, მაცდურო, ვერ მაცდენ
რისთვის მოდიხარ, რათ მეკარები.
ნუ-თუ მას ფიქრობ, რომ მომატყუილო
და დამიკეტო ყველგან კარები?

„კეკლუცი სხეული" მოგიახლოვდათ, ყველგან კარების დაკეტვას ჰლამის, თქვენ-კი არ იკარებთ,—რაღა? „სატანჯველში" არ გინდათ ჩაგდოთ, თუ... ვერ მივხვდით!

თელავის ბიბლიოთეკის ერთ წევრთაგანს. თქვენი „ღია წერილი" არ დაიბეჭდება, თუ თქვენს სახელსა და გვარს არ მოაწერთ.

სურამს. ბ-ნს ი. ი. მ—ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

12 ივლისს.

პეტერბურგი. საზღვარ-გარეთიდგან გატჩინოს მოვიდნენ და „კრასნოე სელო"-ს გაემგზავრნენ დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და უავგუსტოესი დანიშნული ბატონიშვილი საბერძნეთისა ნიკოლოზ გიორგის ძე და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული.

მომავალ 1903 წელს მადრიდში საერთა-შორისო საექიმო კონგრესზე დასასწრებად საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემია თავის წარმომადგენლად პროფესორს რეინს ჰგზავნის.

ჰოლანდიის ეკკლესიის პასტორი გილლოტი სამსახურს თავს ანებებს.

ვენა. საბერძნეთის დედოფალი პეტერბურგს გაემგზავრა.

ლონდონი. პეკინიდგან ატყობინებენ „Times"-ს, თუ ვუჩანგის ვიცე-კოროლის მიერ მიღებულ დეპეშას ვერწმუნეთ, ჩინეთი თანახმაა „ლიკინის" გადასახადი გააუქმოს. შემოღებულ იქმნება ისევ ძველებური შინაური გადასახადი საზღვაო და სადაბაჟო უწყებათა ზედამხედველობით. განიზრახეს შემოსატან და გასატან საქონელზედ გადასახადის მომატება.

ლონდონი. სახალხო კონფერენციის წევრნი კმაყოფილნი არიან კრების შედეგით; გადაჭრით გამოთქმულ დადგენილებას სრულებითაც არ ელოდნენ. კონფერენცია მით არის საყურადღებო, რომ ახალშენთა წარმომადგენელნი თავიანთ აზრს ერთმანერთს უზიარებენ. კონფერენციები, ალბად, დრო გამოშვებით განმეორდება ხოლმე.

იოკოჰამა. ოფიციალურად იუწყებიან, კრეისერი „კასაგი" მარკუზისლენდს გაიგზავნა, რათა დაამშვიდოს მკვიდრნი და დააპატიმროს კაპიტანი როზეჰილი, (რომლისთვისაც, როგორც ამბობენ, ამერიკას ხმა მიეცა, კუნძული დაიჭიროს), რომ უსამართლოდ ჰფიქრობს, ვითომც ეს კუნძული მას ეკუთვნოდეს, კუნძული 1896 წლიდგან იაპონიას ეკუთვნის.

ვაშინგტონი. მთავრობა კუნძულ მარკუზისლენდზე არავითარ შეტაკებას არ მოელის.

ხარბინი. 6 ივლისს ხარბინიდგან გავიდა და ჩაჰყვა ქვევით მდ. სუნგარს გემი „ასკოლდი". მგზავრთა შორის იყვნენ შეიარაღებული ხუნხუზები, რომელნიც გზაში დაეცნენ კაპიტანს, მესამე რუსს მგზავრს, დასჭრეს ყველანი და გასძარცვეს; ხუნხუზები მიიმალნენ. გამოძიება სწარმოებს.

ოდესა. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე იახტა „თამარა"-ზედ ტენდრს გაემგზავრა.

13 ივლისი

პარიჟი. მონოზნებმა-აღმზრდელებმა ბევრგან არ შეუშვეს სკოლებში პოლიციის მოხელენი, რომელთაც ჰსურდათ დარწმუნებულიყვნენ, ასრულებენ თუ არა ამ სკოლებში კანონს. მონოზნებმა გამოუცხადეს, რომ უკიდურესს წინააღმდეგობას გაუწევენ.

ბელგრადი. სერბიის და ოსმალეთის საზღვარზე მოხდა შეტაკება ალბანელებსა და ოსმალოს ნიზამსა და სერბიელ სოფლის მუშებსა და საზღვრის დარაჯთა შორის. სერბიელების მხრით ორი კაპრალი მოკლულია და რამდენიმე დარაჯი და ერთი მუშა დაჭრილია.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო" უარ ჰყოფს სეულის გაზეთის „იესსენტ-სიბ"-ს გამოცხადებული ცნობა, ვითომ ინგლისის და იაპონიის ელჩებსა და კორეის იმპერატორს რწმუნებულს დაედოსთ პირობა რომლის ძალითაც ინგლისი და იაპონია მომხრეობას გაუწევენ კორეს შინაგან საქმეებსა და გარეშე პოლიტიკაში მის დამოუკიდებლობის დასაცველად.

ლონდონი. 5 ივლისს გამოცხადებული ამბავი, რომ ფლოტის აღლუმი გაიმართება სპიტჰეტში 3 (16) აგვისტოსაო, ზღვათა სამინისტრომ დაადასტურა.

კაირი. დღეს სასანიტარო საბჭომ აღნიშნა 118 ავადმყოფი ხოლერიანი.

პარიჟი. დღევანდელს დასასრულს კრებაზედ საერთა შორის კონფერენციისა ქალებით ვაჭრობის შესახებ, კრების თავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრმა, კონფერენციის სახელით გამოუცხადა მადლობა მთავრობას.

ორიოლი. 11 ივლისს გრიგალმა დაანგრია მოსკოვ-კურსკის რკინის გზის სადგურ მალო-არხანგელსკის შენობები. კაცებიც დაუხოცნია.

მოსკოვი. წიგნის მოვაჭრეთა კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ შემოღებულ იქმნას საერთო სავალდებულო სწავლება და შემოკლებულ იქმნას ოცდაათ წლამდე ვადა ატორის საკუთრების უფლებისა.

პეტერბურგი. გამოცხადებულია წესდება სამუშაო არტელებისა. 12 ივლისს მოვიდა იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი მუთცუკატა და ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ლამსდორფი.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10	
ბერლინში 100 მარკაში	46,07½	
პარიჟში 100 ფრანკში	—	
ლონდონში ჩეკები	94,75	
ბერლინში ,,	46,27½	
პარიჟში ,,	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	97	გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471½	წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357	მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90⅛	გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89½	მყიდ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—	
აქციები ,,	—	
,, კასპიის ამხანაგობისა	—	
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	419	წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—	

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 23 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა.

1. დათა, სანო, ალექსი და ნიკო კოშაძეთა და თ. ნომან ჯავახოვის დავა 870 მანეთზე.
2. თევდორე კუსაკინისა და არჯევან მოროხაიშვილის საქმე 100 მანეთზედ.
3. ზაქარია და სხვ. მღებრიშვილებისა და თ. ივ. ერისთავის საქმე მამულის მფლობელობის აღსადგენად.
4. სიმონ ჯავახოვისა და დავით ვარსიმოვის საქმე —29 მანეთისა.
5. ანტონ ახაბაძისა და ანტონ იაშვილის დავა 40 მანეთზედ.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესახებ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბახვა ჯანჯღავასი და პუპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბახვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პუპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1063 მანეთზედ.

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობის

„შ ხ ტ ა ს"

გამგეობა იწვევს ბ-ნთ პაის პატრონთ არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, 17 ამა ივლისს—საღამოს 8 საათზე—ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, მმართველობის მიერ წარმოდგენილ მეორე ნახევარ წლის მოქმედების გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად.

(2—376—2)

„GRAND PRIX"
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
„Парфюмерія
„Рояль - Ралле"

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა"

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{50} ც. ფასი მცირეა. კონკ[illegible] ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (ნ.—(წლ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „

კავკასიაში პირველი და ერთად-ერთი

სურათების ატელიე (სასწლოსნო)

ფოტოგრაფიულის პორტრეტებიდგან გადმოღებული სურათების გადიდება.—

ფასები ფრიად ზომიერია:

სურათი 7 ვერშოკი სიგანით და 8½ სიგძით— 2 მ. 50 კ.
„ 9 „ „ „ 12 „ — 4 მ. — „
„ 11½ „ „ „ 14½ „ — 7 მ. — „
„ 15 „ „ „ 21 „ —13 მ. 50 კ.
„ 17 „ „ „ 27 „ —25 მ. — „

მყიდველნი სურათებს კარტონის ჩარჩოში ჩასმულს მიიღებენ.

სურათების ატელიე იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, დ. სარაჯიშვილის სახლში, კონდიტერის ლოტის გვერდით, ეზოში.

ქალაქს გარეთ მცხოვრებთ, რომელთაც ჰსურთ სურათის შეკვეთა, ვთხოვთ გამოგზავნონ ბე და ფოტოგრაფიული პორტრეტი ამ ადრესით: Тифлисъ, Дворцовая ул., Портретное Ателье И. Рогожанскаго.

ატელიე ღიაა დილის 8 საათიდგან საღამოს 7 საათამდე; კვირაობით-კი დილის 9 საათიდგან 2-დე.

(2—1)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხგალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ, ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხგალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთმრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა (კორესპონდენცია).** 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველ დღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ.

(25—379—2)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე გრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და დერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ნ. ვ. მანუელიანცს**, ტფილისს.

(24—361—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.